



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 57  
30/08/2019

57-09-4-201908301415



თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი თელავისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბ თელავს“ (ს/კ 405158975) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირობით (ინვესტიციის განხორციელება ქ. თელავში, ლეონიძის ქუჩა №18-ში მდებარე შენობა-ნაგებობის III (342.4 კვ.მ) სართულის (საკადასტრო კოდი: 53.20.42.680) კაპიტალური რემონტი), 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადასცეს:

- 1. ქ. თელავში, ლეონიძის ქუჩა №18-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8609 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.20.42.682).

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი 3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის №41).

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო